ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ოთხშაბათი, 20 აგვისტო 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 577

ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. სავალე ელ. 19

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაჩქაროთ, დრო ცოტა დაგვრჩენია.

ბანაკად ყოფნის დრო მაინც და ნც ბევრი აღარ დაგვრჩენია.

გათავდება ბანაკობა და ჩვენი ჯა- ც საზამთრო სადგომებს უნდა უბრუნდეს.

საზოგადოთ საზამთრო სადგომები ის ბინაა, სადაც ყოველ წითელ მიელს უხდება თავის სამსახურის როის უმეტესი გატარება.

ამიტომ არის სწორეთ, რომ ყა- რმებს უფრო დიდის ყურადღებით კიდებით ჩვენ, ვინემ საზაფხულოდ წყობილ კარვებს.

გარდა ამისა მხედველობაში მისა- ებია ისიც, რომ წელს ახალწვეუ- ები მოგვემატენ.

მათ ყაზარმაში ან სულ არ უც- ვრიათ, ან ძალიან ცოტა ხნით.

ჩვენი ყაზარმები მოითხოვენ, თუ დ შეკეთებას არა, გადახალისებას ნც.

სუფთათ შეფიფქული და საზოგა- ოთ სუფთად მორთული ბინა არა- ს არ აწყენს.

მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელო- აქვს კარგად მოწყობილ ბინას ლწვეულის თვალში.

მან ერთი თვალის გადავლებით ნდა უპირატესობა მისცეს წითელ ზარმას, ვინემ თავის საკუთარ ბი- ს.

ყაზარმებში საჭიროა და კიდევაც აქვს სხვა და სხვა ლოზუნგები.

ლოზუნგი იოლი შესასწავლია. ადვილი გასაგები.

მას, გარდა სილამაზისა აქვს, მაშასადამე, აღმზდელობითი მნიშვნელობა.

ეს მოითხოვს მეტი ყურადღების მიქცევას ლოზუნგებისას.

ბანაკად ყოფნის დრო ჩქარა გათავდება.

ჩვენი მოვალეობაა ეხლავ გაუკეთოთ ანგარიში ჩვენს მიერ გაკეთებულს სამეურნეო დარგში.

თუ არ დაგვიწყია ყაზარმების შეკეთება, მყისვე უნდა დავიწყოთ, თუ უკვე დაწყებული გვაქვს დავამთავროთ.

კედლებს უნდა ამშვენებდეს თაბულები და წარწერები.

წარწერებს ყურადღება უნდა მიექცეს პირველ ყოვლისა შინაარსის მხრით, შემდეგ იგი უნდა იყოს ლამაზად დაწერილი, ადვილად გასაგები და შესათვისებელი.

ვეჩქაროთ ამის მოწყობას, რომ უცბათ არ დადგეს ყაზარმად წამოსვლის დღე და არ დავრჩეთ პირდაღებულნი.

ეს შეადგენს მოვალეობას თვითეულ ნაწილის თავისას, უფროსთა და პოლიტიკურ ხელმძღვანელთა შემადგენლობისას.

ამიტომ ყველამ უნდა დაუსვას თავის თავს საკითხი: რა გააკეთა ამ დარგში.

ინგლის-საბჭოთა შეთანხმების გარშემო.

საუბარი ამხ. რაკოვსკისთან.

საბჭოთა დელეგაციის თავმჯდო- რემ ინგლისში, ამხ. რაკოვსკიმ, ოსტას თანამშრომელთან საუბარ- ი განაცხადა:

„ინგლისის მუშათა კლასის და- ოკიდებულება საბჭოთა კავშირის ეთანხმებასთან უსათუოდ თანაგრ- ნობითი და კეთილ სასურველია. ს იცოდა ინგლისის მთავრობამ და იტომაც, როცა 5 აგვისტოს ოპო- იციის ლიდერები ურჩევდენ თავი შეკავებიათ ხელშეკრულების მო- წერისაგან, მთავრობამ უპასუხა, ომ ხელშეკრულება ხელმოწერილი ქნება და მუშათა პარტია, თუ ოპო- იცია თავისას არ დაიშლის, მზა- და ეს დასვას ამომრჩეველთა სასა- ართლოში.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნორ- ალური ურთიერთობის დამყარება სსრკ-სა და ინგლისს შორის არის არა მარტო ინგლისის მუშათა პარტიის ძირითადი ლოზუნგი.

ამის მომხრე არიან ლიბერალები და კონსერვატორებიც.

რა თქმა უნდა შეთანხმებას ხელი შეუწყო ჩვენმა ბაზარმა და ნედლმა მასალამ, რომლებიც მეტად ესაჭიროება ინგლისს.

რაც შეეხება იმას, რომ ხელშეკრულებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ზოგიერთ წრეებში,—ჩვენ ამ გარეგნობამ არ უნდა მოგვატყუილოს. ეს იყო ვარჯიში ოპოზიციურ პარტიებისა.

როცა მოლაპარაკება შესწყდა, ლოიდ ჯორჯმა ისეთივე ენერგიით გაილაშქრა მთავრობის წინააღმდეგ, როგორც მაშინ, როცა ის სასურველად დამთავრდა.

ლონდონის კონფერენციის შემდეგ

დოუესმა ტელეგრაფით მიულოცა მარქს კონფერენციის მუშაობის სასურველად დამთავრება გერმანიის დელეგაციის მხრივ.

გერმანიის სახელმწიფოების პრემიერთა თათბირი.

გერმანიის პრემიერებმა გუშინ მოისმინეს გერმანიის დელეგაციების მოხსენებები ლონდონის კონფერენციის შესახებ.

მაკდონალდის გამგზავრება.

„ნიუ-იორკ-ჰერალდი-“ს ცნობით მაკდონალდი, ჟენევაში მგზავრობის დროს ერთი ლიგის სესიაზე, შეჩერდება პარიზში, სადაც ითათბირებს ერიოსთან ერთად საფრანგეთის უზრუნველყოფის შესახებ.

ერიო კონფერენციის შედეგების შესახებ.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ერიომ განაცხადა:

„შეიძლება ლონდონის კონფერენციის დაცინვა და გაკრიტიკება, მაგრამ ყველა, ვინც არ არის შეპყრობილი კერძო მიდგომით, დაიჯერებს, რომ ეს არის პირველი კონფერენცია, რომელმაც მოიტანა პრაქტიკული შედეგები.

მარქსის განცხადება.

„სან დეი ტაიმს-“ს მოჰყავს მარქსის განცხადება მოკავშირეების წინაშე იმის შესახებ, რომ ის გარეკავს რეიხსტაგს, თუ უკანასკნელი არ მოიწონებს კანონ-პროექტს, რომელიც დაკავშირებულია ექსპერტთა გეგმის ცხოვრებაში გატარებასთან.

საფრანგეთის კაბინეტის საგანგებო სხდომა.

გუშინ საფრანგეთის კაბინეტის სხდომაზე პრეზიდენტ დუმერგის თავმჯდომარეობით ერიომ გააკეთა მოხსენება ლონდონის კონფერენციის შედეგების შესახებ.

„ცოცხალი სურათი.“

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ლონდონის კონფერენციის უკანასკნელი სხდომა დამთავრდა ცერემონიით, რომელსაც სიმბოლიურად უნდა გამოესახა მიღწეული შეთანხმება.

შეთანხმების ხელის მოწერის შემდეგ მაკდონალდმა ხელი ჩამოართვა სხდომის ყველა მონაწილეს.

როცა შემოვიდა გერმანიის რეიხსკანცლერი მარქსი, მაკდონალდმა მოჰკიდა მას ხელი და მიიყვანა საფრანგეთის პრემიერთან.

მაკდონალდმა უსიტყვოდ აიღო ერიოს მარჯვენა ხელი და გადასცა ხელში მარქსს; შემდეგ მან დაიხია რამოდენიმე ნაბიჯით, სანამ საფრანგეთისა და გერმანიის მინისტრ-პრეზიდენტებმა ხელი არ ჩამოართვეს ერთმანეთს.

გამოსვლები მაკდონალდის წინააღმდეგ.

ლონდონის პრესა საერთოდ კმაყოფილია კონფერენციის შედეგებით. „ტაიმსი-“ს აზრით კონფერენციამ ჩამოაგდო შემდეგი ერთგვარი თანხმობა მოკავშირეთა შორის და შექმნა პირობები მეგობრული მოლაპარაკებისათვის გერმანიასთან.

გაზეთი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება რურის საჩქარო ევაკუაციისათვის.

ლოიდ ჯორჯის ორგანო „დეილი კრონიკლი“ ჰგმობს მაკდონალდის სისუსტეს, რომელმაც ვერ მოაგვარა ევაკუაციის საქმე საჩქაროდ.

„ვესტმინსტერ გაზეთი-“ს აზრით მაკდონალდმა დიდი ზიანი მოუტანა დიდ ბრიტანეთს.

ოპოზიციის დასამშვიდებლად.

მაკდონალდმა მიმართა ერიოსა და ტინისს შემდეგი წერილით:

ახალი შეთანხმების გამო რურის ოკუპაციის საკითხში, მე ვსთვლი ჩემს მოვალეობად წერილობით გავიმეორო, რომ ბრიტანეთის მთავრობა არას დროს არ სთვლიდა კანონიერებას არც რურის ოკუპაციის, არც ვერსალის ხელშეკრულების ცალკე მუხლებისას, რომელთა მიხედვით მოქმედებდენ სახელმწიფოები რურის დაჭერის დროს.

შემდეგ ბრიტანეთის პრემიერი გამოსთქვამს იმედს, რომ საფრანგეთ-ბელგიის ჯარები გამოყვანილ იქნებიან რურიდან, როგორც კი დოუესის გეგმა შევა ცხოვრებაში, ვინაიდან ოკუპაციის გაგრძელებამ შეიძლება ჩაშალოს ლონდონის კონფერენციის მთელი მუშაობა.

ხელს იშვერს პუანკარესკენ.

ჟურნალისტებთან საუბარში ერიომ განაცხადა, რომ ლონდონის შეთანხმების წინააღმდეგ გამოვიდა ყველა, რომელთა პროვოკაციული პოლიტიკა ემუქრებოდა საფრანგეთს ახალი ომით.

კონფერენციის შედეგი წარმოადგენს ახალი ერის დასაწყისს, მაგრამ ის ნაყოფიერი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შედეგებს დაიცავენ იმათთგან, ვინც ოცნებობს ახალ ომზე.

ერიოს აზრი კონფერენციის მიღწევების შესახებ

გჲვასის სააგენტოს ცნობით ინგლისის ჟურნალისტებთან საუბარში ერიომ აღნიშნა, რომ დოუესის გეგმის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის განიხილავს სარეპარაციო საკითხს განსაკუთრებით პრაქტიკული მეურნეობის თვალსაზრისით.

ეს გეგმა, როგორც თვით კონფერენცია სცდილობდა დაეინტერესებია თვით გერმანია თავის ვალდებულებათა ჩქარ ასრულებაში.

გერმანიის რეიხსბანკის მეთვალყურედ სდგება გენერალური საბჭო, რომელიც შესდგება ნახევრად უცხოელებისაგან, იმათ რიცხვში შედიან ფრანგებიც.

ერიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონფერენციამ მოიტანა პრაქტიკული შედეგები.

რურის ოკუპაციის მიზანია შეუმსუბუქოს გერმანიას სარეპარაციო გადასახადები.

რეინის მარცხენა ნაპირის ოკუპაციამ უნდა მისცეს საფრანგეთს უზრუნველყოფის გარანტია.

საუბარის ბოლოს ერიომ განაცხადა, რომ უნდა მოხდეს კონფერენცია მოკავშირეთა ვალების შესახებ.

ნაწილობრივი ევაკუაცია.

ამ დღეებში საფრანგეთის ჯარები გადიან ოფენბურგიდან და აპენვეილერიდან.

სოლიდარობის კვირეული.

ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატისა და კარპატის რუსობის მუშათა კვირეულის დროს, რომელიც მოაწყო ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიამ კარპატის მხარეში სისხლის ღვრის აღსანიშნავად,—ყველა სამრეწველო ცენტრებში მოხდა მუშა-კომუნისტთა დემონსტრაციები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდენ კარპატ. მუშები, გლეხები და დაღუპულთა ოჯახები.

პრაგის დემონსტრაციებში მონაწილეობდა 10.000 მეტი მუშა.

ამერიკის ოქრო.

შეერთებულ შტატებში დაგროვილი ოქროს მარაგი 1 აგვისტოსთვის შეადგენდა 4 ნახევარ მილიარდ დოლარს, რაიც უდრის დაახლოებით მთელ ქვეყნებში არსებულ ოქროს რაოდენობას.

1919 წ. შეერთებული შტატების ოქროს რაოდენობა უდრიდა 1.638 მილ. დოლარს.

ოქროს სიჭარბემ გამოიწვია პროცენტების დაწევა ამერიკის ბანკებში.

რათა დაგროვილი ფულები არ დარჩეს უქმად, ამერიკის ბანკირები სცდილობენ გასცენ ეს ფულები სხვა და სხვა სესხის სახით.

რაც შეეხება შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობას, საქონლის შიგნით შეზიდვა ყოველთვის სჭარბობს გაზიდვას.

სუდანის საკითხი.

რეიტერის სააგენტო იუწყება ეგვიპტიდან, რომ ოპოზიციამ მიმართა ეგვიპტის მთავრობას მოთხოვნილებით, რათა საჩქაროდ იქნას მოწვეული პარლამენტი ინგლის-ეგვიპტის უთანხმოების განსახილველად სუდანის საკითხში.

ბულგარეთი და საბერძნეთი.

გამოქვეყნებულ წერილების გამო, რომლებიც მოითხოვენ ბულგარეთისათვის განსაკუთრებულ შეღავათებს სალონიკის რაიონში, საბერძნეთის პრესა აღნიშნავს, რომ ბულგარეთს სურს მიიღოს საბერძნეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომიდან მეტი უფლებები, ვინემ მიიღო შისმა მოკავშირე—სამხრეთ-სლავიამ.

პრესა აღნიშნავს, რომ საბერძნეთს გულწრფელად სურს კეთილ მეზობლური განწყობილება იქონიოს ბულგარეთთან, და ბულგარეთმაც უფრო უნდა დაიცვას თავის მხრივ მოწერილი ხელშეკრულება, ვინემ ამას ამ დრომდის ასრულებდა.

უკანასკნელ საათში

გერმანიის დელეგაციის დაბრუნება.

ბერლინში დაბრუნების შემდეგ გერმანიის დელეგაციამ დაწვრილებითი მოხსენება გაუკეთა პრეზიდენტ ებერტს შეთანხმების შესახებ, რომელიც მიღწეულ იქნა ლონდონის კონფერენციაზე.

ლონდონიდან გასვლის შემდეგ შტრეზემანმა განაცხადა, რომ კონფერენციაზე განხორციელებულ იქნა თითქმის სამი მეოთხედი გერმანიის დელეგაციის მიერ წარდგენილ პროგრამისა.

შეთანხმების დამტკიცება.

გუშინ გერმანიის კაბინეტმა გაარჩია ლონდონის შეთანხმების ცალკე მუხლები. რეიხსტაგი მოწვეულ იქნება ამ კვირაში.

საბჭოთა ფედერაციაში

გლეხთა კომიტეტები.

დამხმარე კომიტეტების მიერ დიდი საქმეები იქნა გაკეთებული პოლტავის გუბერნიაში.

დღეს გუბერნიაში ითვლება 88 სარაიონო და 1307 სასოფლო კომიტეტი.

კომიტეტებს აქვთ 160 საწარმოო დაწესებულება, მონაწილეობას იღებენ შრომის სკოლების, საბავშვო სახლების და ამბულატორიების შენახვაში, დახმარებას უწევენ სოფლის მეურნეობას, სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ და მცირე სახსრიან სამეურნეო საზოგადოებებს.

სამხედრო კოოპერაციის ლიკვიდაცია.

სსსრკ-ს რევსაბჭოსა და ცენტრკავშირის შორის მოხდა შეთანხმება სამხედრო კოოპერაციული ორგანიზაციების გაუქმების შესახებ.

სამხედრო ნაწილების დაკმაყოფილება ეკისრება სამოქალაქო კოოპერატიულ დაწესებულებებს.

კოოპერაცია მოუსავლიანობის წინააღმდეგ.

მთელი საკოოპერაციო ქსელის მუშაობის შესათანხმებლად მოუსავლიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეწყობა საკოოპერაციო კომისია მოუსავლიანობის შედეგების წინააღმდეგ საბრძოლველად.

არც ხოლერა, არც შავი ჭირი.

ამ უკანასკნელ დროს სსრკ-ში ხოლერით ავადმყოფობას არ ჰქონია ადგილი, შავი ჭირის ნიშნები მხოლოდ ორჯერ იქნა აღმოჩენილი სადგურ მანჯურიაზე.

მესოპოტამიის ვაჭრები ბაზრობაზე.

ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე მოვიდენ მესოპოტამიის ვაჭრები, რომლებმაც ჩამოიტანეს მესოპოტამიიდან დიდძალი სხვა და სხვა საქონელი.

რადიო ყოველ მხრიდან.

მატეოტის მკვლელობის შესახებ.

როგორც ვიცით რომის ახლოს აღმოაჩინეს მატეოტის პიჯაკი და შემდეგ გვამიც. ფიქრობენ, რომ ეს გვამი მატეოტის არისო.

გაზეთების ცნობით, თუმცა თავი მეტად გახრწნილია, მაგრამ დეპუტატები აცხადებენ, რომ მატეოტის გვამი იცვნეს ოქროს კბილებით.

ამ ცნობების თანახმად შეიძლება ვსთქვათ, რომ ნაპოვნი გვამი არის ნამდვილად დეპუტატ მატეოტის.

გვამი გადატანილია რიანოს სასაფლაოზე, სადაც გახსნიან მას ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლების თანადასწრებით.

ინგლისის ნაციონალური ვალი.

თანახმად ბრიტანეთის ხაზინის ოფიციალურად გამოქვეყნებულ „ლურჯი წიგნი-“სა დიდი ბრიტანეთის ნაციონალური ვალი უდრის 7.680.000.000 გირვანქა სტერლინგს.

რელიგიური ბრძოლა ინდოეთში.

უკანასკნელად მომხდარ რელიგიურ შეტაკების დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინდოეთში, მძიმედ დაიჭრა 300-დე კაცი.

ვიმღეროთ, მაგრამ ფილტვებს ნუ დავივიწყებთ.

სიმღერა ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია კაცის გასამხნევებლად.

იგი ხალხს ძველთაგან სჩვევია.

რაც უნდა მოქანცული არ იყოს კაცი, დაიწყებს თუ არა სიმღერას, მყის გულზე მოეშვება.

თავისთავად ცხადია, მღერის ნიჭი ყველას არ აქვს.

მაგრამ მიუხედავად ამისა თვითეულ ჩვენთაგანს შეუძლია ჯავრი გაიქარვოს, გამხიარულდეს თავის უშნო ხმითაც კი.

რაც შეეხება კარგ ხმას ამაზე ლაპარაკი მეტია.

იგი ატკბობს თვით პატრონს, მსმენელს და მთელ არე-მარეს.

ცნობილია, რომ კარგი ხმა, კარგი მუსიკა თევზებსაც კი აინტერესებთ. იგინი ნაპირზე გამოვლენ და გულმოდგინეთ უსმენენ.

ასევე სჩადიან თაგვები.

ხალხში სამკურნალო მიზნით დასაბამიდან არის მიღებული სიმღერა.

ჩვენში ავადმყოფს უგალობებენ ტკბილ ნანინას.

იგი მოქმედებს მის სულიერ მხარეზე და ტკივილებს აყუჩებს.

სამკურნალო მეცნიერებაც არ უარყოფს გალობის ფრიად კარგ გავლენას ავადმყოფზე.

შეიძლება დადგეს დრო და რეცეპტებში შევხვდეთ ამა თუ იმ პირის არიას.

ეს მომავლის საქმეა.

ჩვენ დღევანდელს დაუბრუნდეთ.

შორს რომ არ წავიდეთ მაგალითისათვის შეგვიძლია ჩვენი გლეხების ცხოვრებას დავაკვირდეთ.

როდესაც გლეხი ყანაში მუშაობს, ის უეჭველად მღერის. ამ სიმღერაში ის მეტს მუშაობს.

დღეც შეუმჩნევლად მიდის.

ასეთი მნიშვნელობა აქვს ოდელიას, ყანაში მუშაობის დროს.

განსაკუთრებით მღერის ქართლ-კახეთის გლეხი.

აქ ვერ შენიშნავ მეურნეს ხმა გაკმედილს. მიდის, მიერეკება კამეჩებს და თან ან ყველას დამატკბობ ურმულს ღიღინებს, ან თავისებურად მღერის. რომ გალობა შრომას აადვილებს, დარდს აქარვებს, ეს არამც თუ უბრალო დაკვირვებით, მეცნიერულადაც დამტკიცებულია.

დამტკიცებულია, მაგალითად, რომ სუსტი, ჯან-მიხდილი მოცეკვავე ქალი სცენაზე ცეკვის დროს აკეთებს რამოდენიმე ათეულ ვერსტს და ამასთან ერთად დაღლილობას არა გრძნობს.

პირდაპირ რომ გაევლო რამოდენიმე ვერსტი კი მას არ შეეძლო. ვერ აიტანდა და შეიძლება კიდევაც მომკვდარიყო.

ერთი სიტყვით გალობას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მას სამხედრო ნაწილებში.

ხშირად მეცადინეობით დაქანცული ნაწილი ძლივს მოიზლაზნება ბინისაკენ.

თითქმის არც ერთს წითელ არმიელს განძრევის უნარი არა აქვს.

მაგრამ საკმარისია ერთი სიმღერა წამოიწყონ და ყოველივე დაავიწყდებათ.

მოვა ჯანიც და სიხალისეც.

ასეთსავე მდგომარეობაში არის ჯარის ნაწილი დილით ახლად გამოღვიძებული.

დაინძრევა, დაიწყებს სიმღერას, გახალისდება, გამხიარულდება.

ამ რიგად სიმღერას ჯარის ნაწილში დიდი მნიშვნელობა აქვს.

იგი სავალდებულო და აუცილებელია.

მხოლოდ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება.

მტვრიან ქუჩით ან გზით მოგზაურობის დროს სიმღერა უნდა შეწყდეს.

რ ა ტ ო მ?

იმიტომ, რომ წითელ არმიელები აყენებენ მტვერს.

სიმღერის გამო პირი დაფჩენილი აქვთ. მტვერი პირის ღრუდან პირდაპირ გადადის ფილტვებში და ამ რიგად ფილტვები მტვრიდ ივსება.

დროს განმავლობაში ამნაირი ქცევით მტვრის ავადმყოფობის მიღება ადვილი საქმეა.

საქმე ის არის, რომ სასუნთქავი ორგანო ცხვირია.

იგი, ბუნების მიერ ისეა მოწყობილი, იმდენი ხვეულები აქვს, ზოგჯერ თმაც კი არის შიგ, რომ მტვერი ძალიან იშვიათად გადადის ფილტვებში. იგი ჩერდება ცხვირის მიხვეულ-მოხვეულ ადგილებში და დაცხვინკებით უკანვე გამოდის.

მაშინ კი, როდესაც ადამიანი პირით სუნთქავს, მტვერი ფილტვებში გადადის.

ეს კი ადვილად ხდება გალობის დროს...

ამიტომ, რომ თავიდან ავიცილოთ მტვრის ავადმყოფობით ფილტვების დაავადება, საჭიროა სასტიკად შევასრულოთ ერთი რამ:

მტვრიან ქუჩაზე გავლის დროს არ ვიგალობოთ.

არ დავიწყოთ იგი, თუ არ დაგვიწყია და შევსწყვიტოთ, თუ დაწყებული გვაქვს.

ამისათვის კი საჭიროა ერთეულის უფროსმა ყურადღება მიაქციოს და თადარიგი დაიჭიროს.

მივა, თუ არა ასეთ გზაზე გასცეს ბრძანება სიმღერის შეწყვეტის.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ იქ, სადაც დიდი მტვერი ადის სიმღერა არ შეიძლება.

მივაქციოთ ამას ყურადღება.

ვ.

სავაჭრო ხელშეკრულე გერმანიასა და მოკავშ რეებს შორის

მოლაპარაკება სავაჭრო ხელშ რულების შესახებ გერმანიასა მოკავშირეებს შორის დაიწყება უგვიანეს 11 სექტემბრისა.

„პტი პარიზიენი-“ს ცნობ შტრეზემანმა წინადადება მის ბელგიის დელეგაციას შეუდგენ რველ სექტემბრიდან პირდაპირ მ ლაპარაკებას სავაჭრო ხელშეკრ ლების შესახებ გერმანიასა და ბე გიას შორის.

აჯანყება საფრანგეთი მაროკოში.

ცნობები მოდის ადგილობრ მკვიდრთა აჯანყების შესახებ სა რანგეთის მაროკოში.

სუდანის გამოსვლები გრძელდება.

ხართუმიდან მიღებულ ცნობი გრძელდება ანტი—ბრიტანული გ მოსვლები ეგვიპტის სუდანში.

ახალი აჯანყება სამხრე ჩინეთში.

სამხრეთ ჩინეთში კვლავ იფეთ აჯანყებამ.

ოსმალეთ-საბერძნეთის შეთანხმება.

ოსმალეთმა და საბერძნეთმა დ დვეს ხელშეკრულება, რომლის ძ ლითაც ბერძნებს კარგი პირობებ ენიჭებათ ოსმალეთში საცხოვრე ლად.

გაფიცვები გავრში.

გავრის ქალაქის თავმა მიმარ მეზღვაურებს წინადადებით, რა უკანასკნელებმა განაახლონ მუშა ბა. გაფიცვები გრძელდება.

გერმანია-უნგრეთის ს ვაჭრო ხელშეკრულებ

გერმანიასა და უნგრეთს შორ მიღწეულ იქნა შეთანხმება სავაჭრ ხელშეკრულების დადების შესახ

გერმანიის პრესა ლონდონის კონფერენციის შედეგებზე

„ფოსიშე ცეიტუნგი“ს აზრით ერიომ უნდა დაამტკიცოს თავის სურვილი მოიქცეს სხვაგვარად, ვ დრე პუანკარე. „ფორვერტსი“ აღნ შნავს: „საკვირველია, ექსპერტ გეგმა არ უჩვენებს გერმანიას სამ თხის კარებს, მაგრამ არ მიყავს არც ჯოჯოხეთში“.

მემარჯვენე პრესა განწყ ბილია პესიმისტურათ. შეთანხმებ რურის საკითხში ის უწოდებს ახა კაპიტულიაციას.

ჩვენს წითელ ჯარში

პარტ-პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა 1-ლ ლეგიონში.

(სამთვიური მიმოხილვა).

მაისის, ივნისის, და ივლისის თვეების პარტ-პოლიტ საგანმანათლებლო მუშაობას პირველ ხანებში ხელი შეუშალა, როგორც დემობილიზაციამ, ისე მობილიზაციის გატარებამ. ამას ზედ დაერთო უფპოლიტხელთა ხშირი ცვლა, რომელიც გამოწვეული იყო ახალ ლეგიონების შედგენით და ლეგიონის საბანაკოდ გასვლით. ამან საგრძნობი კვალი დაჩნია, როგორც პარტიულ, ისე პოლიტ-საათის ნორმალურ მსვლელობას, მაგრამ, როგორც კი დათავდა ეს კომპანიები მუშაობამ იმ დღესვე მიიღო წესიერი ხასიათი, რაც შეუწყვეტლივ მიმდინარეობს ეხლაც.

კომუჯრედის ნაცვლად პარტ-კრებები.

დემობილიზაციამ კომუჯრედების კრებების ნაცვლად პარტამხანაგების სიმცირის გამო გამოიწვია საერთო პარტკრებების აუცილებლობა, ამასთანავე პოლიტ-საათი სრულიად შეჩერდა ზოგიერთ ასეულებში, მაგრამ, მობილიზაციით შევსებულ ნაწილში პოლიტ-საათიც თავის კალაპოტში ჩადგა. დემობილიზაციის პირველ პერიოდში ნაწილებმა მიიღო 40 კაცამდე პარტ-წევრები, აქედან შესდგა ერთი ასეული, სადაც გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა.

დათავდა თუ არა მობილიზაცია, ხსენებული ნაწილი დაიშალა თანახმად პოლიტ-განყოფილების განაწილებისა, და დანაწილებულ იქმნა სხვა და სხვა ლეგიონებში.

პირველ ლეგიონს კი ხვდა ათ კაცამდე. საერთო მობილიზაციაში პარტ-ამხანაგები ბევრი მოყვა, რომელთა ასეულებში განაწილების დროს ყურადღება ექცეოდა, რომ ერთ მაზრიდან მოსულნი მოხვედროდენ ყველა ასეულებში, რაც თავისებურ კვალს დააჩნევდა პოლიტ-საათს. ასეთმა განაწილებამ კარგი შედეგი მოგვცა და თავიდანვე პარტ-პოლიტ-განმანათლებელ მუშაობამ მიიღო სწორი მიმართულება.

პარტიული საორგანიზაციო მუშაობა.

ლეგიონის ბიურო-კოლექტივს აერთიანებს ხუთი ასეულების მასშტაბით ჩამოყალიბებული კომუჯრედი.

ლეგიონში სულ ირიცხება პარტიის წევრები, კანდიდატები და ა. კ. კავშირის წევრები ასოც (120) კაცამდე.

თანახმად ბიურო-კოლექტივის დადგენილებისა პარტიულ დღეთ დანიშნულია შაბათი.

დღის წესრიგს უჯრედები ნაწილობრივ ღებულობს ბიურო-კოლექტივიდან და ნაწილს, კი უმატებენ თვით მდივნები ასეულის ცხოვრებიდან.

უჯრედების მიერ შემოღებული პარტდავალებები სისტემატიურად სწარმოებს და სრულდება.

მოხსენებების გაკეთება ხდება მორიგეობით. ხსენებულ სამი თვის განმავლობაში მოწვეულია პარტიული ხასიათის შემდეგი კრებები: 1) ბიურო-კოლექტივის 9 სხდომები, გარჩეულია 40 საკითხი 2) კომუჯრედის მდივნების თათბირი 2. გარჩეულია 7 კითხვა. 3) საერთო დახურული პარტ-კრებები 7. გარჩეულია 32 საკითხი.

4) ღია კომუჯრედის კრებები 7. საკითხი 35.

ლეგიონს მჭიდრო კავშირი აქვს თფილისში მესამე რაიონულ კომიტეტთან და მესამე რაიონულ ახ. კ. კავშირის ორგანიზაციებთან, აგრეთვე მიწად-მოქმედების და განათლების კომისარიატის კომუჯრედებთან.

კავშირი გამოიხატება ურთიერთ შორის კრებებზე და კომპანიებზე დასწრებით.

ახალ. კ. კავშირის მუშაობა.

ახალ. კ. კავშირის წევრები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ლეგიონს მრავლად ყავს. მათ შორის გამოყოფილია ორგანიზატორი მუშაობის საწარმოებლად და აგრეთვე ახალ. კ. კავშირის ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის დასაჭერათ.

პოლიტ-საათი.

პოლიტ—საათი მჭიდროთ არის დაკავშირებული სკოლასთან, ბიბლიოთეკასთან, კლუბთან და ლენინის კუთხეებთან. პოლიტ-საათზე მოსამზადებლათ წინასწარ ვაწარმოებთ პოლიტ-ხელთა დილაობას, რომელზედაც გვესწრებიან: პოლიტ-ხელნი, კლუბის, ბიბლიოთეკის და სკოლის თანამშრომლები.

პოლიტ-განყოფილებიდან მიღებული პროგრამმა ამ დარგში წინდაწინვე ნაწილდება პოლიტხელთა შორის, რომლებიც ვალდებულნი არიან დილაობაზე რიგის მიხედვით წარმოადგინონ დამუშავებული თემა კითხვებათ დაყოფილი. მეორე დღეს კი პოლიტხელს ეს თავის ასეულში გადააქვს. პოლიტ-საათი ბანაკში ტარდება 8-9 საათზე.

ორგანიზაციული სახე.

ასეულებში არიან სამხკორ-პარტკორები. დაარსებულია, ცნობათა ბიურო, „რემედას“, მუშათა და გლეხთა ინსპექ. დამხმარე ჯგუფი, საჰაერო ფლოტის უჯრედი და სხვა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე ჯგუფი ენერგიულათ მუშაობს და ყურადღებას აქცევს სამნეო ნაწილს, სურსათ სანოვაგეს და სხვა.

ა) ლეგიონში შემდგარი არის „რემედს“. ამორჩეული გვყავს „რემედას“ წევრები და უჯრედის მუშაობა კარგად მიმდინარეობს, წევრებად ეწერებიან წითელ არმიელები. იკრიბება საწევრო გადასახადი და სხვა.

ბ) საჰაერო ფლოტის უჯრედს საკმაოდ ყავს წევრები. მათი მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

გ) ასეთივე მუშაობას აწარმოებს ურთიერთ დამხმარე კასსა და კოოპერატივი.

კომპანიები.

სამი თვის განმავლობაში ბიურო კოლექტივის ხელმძღვანელობით ჩატარებულ იქმნა შემდეგი კომპანიები:

1) 1-ლ მაისის დღესასწაული.

2) ვოროვსკის მკვლელობის 1 წლის თავი.

3) საჰაერო ფლოტის დღეები.

4) 17 ივლისის პეტროგრადის დღეები.

5) პარიზის კომუნის ას ოცდა თუთხმეტი წლის თავი.

6) „რემედასის“.

და 7) იმპერიალისტური ომის 10 წ. თავზე საპროტესტო დღეები.

კ ლ უ ბ ი.

კლუბის მუშაობა კარგ პირობებში მიმდინარეობს. მოწყობილია ლენინის კუთხეები, გამოდის კედლის გაზეთი, იმართება წარმოდგენები, კინო, ცოცხალი სურათები და სხვა.

სანი იმნაიშვილი.

რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე უჯრედი.

1-ლ დივიზიის ამხ. ობოლაძის სახელობის უნცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლაში, დაარსებულ იქნა რევოლიუციის მებრძოლთა საზოგადოების ცენტრალური უჯრედი, რომელსაც თავის განყოფილებები, დამხმარე უჯრედები აქვს მსროლელ ასეულსა და ოცეულებში.

კურსანტები ხალისიანად ეკიდებიან ამ საქმეს და თანდათანობით იზრდება უჯრედის წევრთა რიცხვი.

წარსული თვის საწევრო გადასახადი შეკრებილია.

ამ ჟამად უჯრედის მიერ სწარმოებს პარტიულ და საერთო კრებებზე მოხსენებების და თავისუფალ დროს საუბრის სახით აგიტაცია უჯრედის მნიშვნელობაზე, მის გაძლიერების და ორგანიზაციულად ჩამოყალიბების მიზნით.

ვუსურვებ უჯრედს ენერგიულ მუშაობას და მოვალეობის სახელოვნად შესრულებას.

ე. ც.

ჩვენი სტუმრები.

14 აგვისტოს ჩვენთან დაახლოების მიზნით გვეწვია სომხური მეთაურთა სკოლა. 4, 5 და 6-სე ქართული ლეგიონი მწკრივში ჩამდგარი ელის ძვირფას სტუმრებს. მუსიკაც სასიამოვნოდ გრიალებს. დიდ ხანს არ დაგვჭირვებია ცდა. გამოჩნდენ ჩვენი სტუმრებიც. მოდიან მუსიკით, სიმღერით.

საერთო მხიარულება ეფინება მიდამოს.

გაისმა ჩვენთან უფროსების ხმები. იძლევიან განკარგულებებს შესახვედრათ. მუსიკა განუწყვეტლივ უკრავს. მოგვიახლოვდენ და ვაშას ძახილით გაიჭედა სივრცე. სომხურმა სკოლამ ჩამოიარა ყველა ჩვენი ნაწილები და ესალმება მათ.

უეცრივ ტრიბუნაზე ადის მეორე ქართული დივიზიის უფროსის თანა-

პროფესორი ოტტო შმელი.

ადამიანი.

თარგმანი ივანე ელიაშვილისა.

(გაგრძელება)

ხერხემლის ნაწილები. ხერხემალი ყველა თვის ნაწილებში როდია ერთგვარად მოძრავი. მეტად მოძრავია კისრის მალები (რიცხვით შვიდი); ეს გარემოება შეეფერება კისრის დანიშნულებას, რომელიც არის თავის მოძრავი დასაყრდნობი. გულმკერდის მალები (რიცხვით თორმეტი), პირიქით, ნაკლებად მოძრავია, ამიტომაც ესოდენ მნიშვნელოვანი გულმკერდის ორგანოები როგორიცაა გული და ფილტვები, მშვენივრად არის დაფარული დაწოლისაგან. წელის მალები (რიცხვით ხუთი) კვლავ იჩენენ დიდს მოძრაობას. ტანი იხრება და იქეთ-აქეთ მოძრაობს უმთავრესად წელში. ხუთი მალა, რომელნიც წელის მალებს ქვევით იმყოფება, მჭიდროდ შეხორცებულია ერთიმეორესთან და წარმოადგენს აგრეწოდებულ სალმრთო ძვალს, რომელიც თავის მხრივ მჭიდროთ არის დაკავშირებული მენჯის ძვლებთან. წელში რომ ეს მკვიდრი შეკავშირება არ ყოფილიყო, ტანი, რომელიც მთელის თვისის სიმძიმით ეყრდნობა ქვედა კიდურებს, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე რყევას დაიწყებდა და ამიტომ სიარულიც მერყევი იქნებოდა. ცხოველთა ხერხემლის ბოლო ნაწილს წარმოადგენს გრძელი მოძრავი კუდი. ადამიანის უკანასკნელი მალები, პირიქით, მჭიდროთ შედუღებულია ერთმეორესთან და წარმოადგენს კუდუსუნის ძვალს, რომელიც საზღვრავს მუცლის ღრუს.

გულმკერდი. თანახმად გულმკერდის და მუცლის ნაწილისა შუასაძგიდი ანუ დიაფრაგმა ჰყოფს ტანს ორ ნაწილათ. გულმკერდში მოთავსებულია ფილტვები და გული.

სიცოცხლისათვის ეს მნიშვნელოვანი ორგანოები დაფარულია ძვლების მთელი წყობით, რომელნიც შეადგენენ გულმკერდის გალიას. გულმკერდს ზურგის მხრით ხსენებულ ორგანოებს ჰფარავს მალები. ყოველს ძალას მარჯვნივ და მარცხნივ უერთდება გრძელი ძვალი, რომელიც შეხედულობით ჰგავს თვლის სალტეს და რომელსაც ნეკნი ჰქვია. იმ ალაგას, სადაც მალა ნეკნს უერთდება, იმყოფება ნამდვილი სახსარი. ზევითა შვიდი ნეკნი წინ უერთდება მკერდის ძვალს ღრტილის მეოხებით; ამათ უწოდებენ ნამდვილი ნეკნს. ქვედა ხუთ ნეკნთაგან, პირიქით, სამი უერთდება ზევითა ნეკნების ღრტილს და ორი უკანასკნელი თავისუფლად ბოლოვდება (ცრუ ნეკნი). ამათი წინა ბოლოები ან ღრტილით უერთდება ერთი მეორეს და ნამდვილ ნეკნებს, ან უბრალოდ ბოლოვდება მუცლის კედლის სისქეში, ასეთ მოწყობილობის გამო, განსაკუთრებით იმ სახსრების მეოხებით, რომელნიც ნეკნებს უერთებს ხერხემალს, გულმკერდს, მიუხედავათ თვისი აგებულობის სიმტკიცისა, შეუძლია გაფართოვება, რაიც ესოდენ აუცილებლად საჭიროა სუნთქვისათვის.

მხრისა და მენჯის სარტყლები და კიდურები

მხრის სარტყელი და კიდურები. ხელები უერთდება გულმკერდის გალიას ორი ძვლის საშუალებით, ბეჭითა და ლავიწით.

ბრტყელი ბეჭი უერთდება მკერდს მხოლოდ კუნთების შემწეობით, ამიტომაც ბეჭი ძალიან მოძრავია და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბეჭს ეკვრის ხელი—მთავარი ორგანო სხვა და სხვა საგნების აღებისა, ატაცებისა. ბეჭსა და მკერდის ძვალ შუა მოთავსებულია ლავიწი. ლავიწის მეოხებით მხრის სარტყელს ეძლევა აუცილებლად საჭირო დასაყრდნობი სიმძიმეთა აღებისა, გადატანისა და სხვა. (ლავიწის მოტეხილობის დროს მხრის სახსარი და მთლად ხელი მოშვებულად ჰკიდია ძირს).

ზემო კიდური განიყოფება სამ ნაწილათ: მხარი, წინამხარი და ხელი. მხრის კუნთებს შორის, მიიმართება ერთი გრძელი ძვალი, რომლის სახელიც არის მხრის ძვალი. წინამხრის ძვლებია: სხივი და იდაყვის ძვალი. მხარსა და წინამხარს შუა იმყოფება იდაყვის სახსარი. იდაყვის ძვლის ზედა ბოლოზე არის მორჩი, რომელიც ეყრდნობა უკნიდან მხარზე. ამიტომაც წინამხარს არ შეუძლია იდაყვში უკნით მოღუნვა და მხოლოდ წინ შეუძლია. სხივის ქვედა ბოლოს შეუძლია იდაყვის ძვლის ბოლოს ირგვლივ მოვლა. ამ დროს ხელი მოტრიალდება ისე, რომ ზევით იქნება ხან ზურგი და ხან ნები.

მენჯის სარტყელი და ქვედა კიდურები. ფეხები ეთანასოვნება მენჯის გვერდის ნაწილებს. მათი დანიშნულება არის ტანის დაკავება და ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა (სიარული). ამიტომაც მენჯი მტკიცედ არის შეერთებული ხერხემალთან (სალმრთო ნაწილთან). სალმრთო ძვალთან და კუდუსუნთან ერთად მენჯის ძვლები წარმოადგენს ძაბრს, რომელიც მართლაც ტაშტსა ჰგავს მუცლის შინაგან ორგანოების მოსათავსებლათ, რომელნიც ადამიანის სწორის დგომის მეოხებით ფრიად აწვება ძირს.

ფეხი შესდგება, როგორც ხელი, სამი ნაწილისაგან: ბარძაყი, წვივი და ტერფი. ბარძაყსა და წვივ შუა არის მუხლის სახსარი. ფეხების დანიშნულება არის სხეულის დაჭერა და ადგილის გამოცვლა. ამიტომაც ფეხის ძვლები უფრო მსხვილია და კუნთებიც ძალუმი, ვიდრე ზევითა კიდურების. ესენი ჰგვანან ორ მსხვილ სვეტს.

ფეხის ძვლები ემსგავსება ხელის ძვლებს. ბარძაყში არის ერთი ძვალი, წვივში კი ორი: დიდი და მცირე ბაყვი. ტერფის ჩონჩხი განიყოფება: უკანა ტერფი, წინა ტერფი და თითები. დიდ ბაყვზე არაა ისეთი მორჩი, როგორიც არის იდაყვის ძვალზე. ამ მორჩის მაგივრად მუხლის სახსრის წინ ძევს პატარა მრგვალი ძვალი—კვირისტავი, რომელიც იფარავს მუხლის სახსარს დარტყმევისაგან მუხლზე დეცემის დროს.

ტერფი ეხება ნიადაგს წინატერფის ერთის ძვლით (ქუსლის ძვლით) და უკანა ტერფის ძვლების წინა ბოლოებით. წინა და უკანა ტერფი ერთად წარმოადგენს ერთგვარ თაღს, ასე რომ, რკალისებურად გამრუდებული სიგრძითა და სიგანით ქვის თაღის მსგავსად, წარმოადგენს დასაყრდნობელს მთელის სხეულის სიმძიმისათვის. ტერფის რკალის შექმნაში თითების ძვლები არ იღებს მონაწილეობას. ადამიანი, რომ ფეხზე დგომის დროს მხოლოდ თითებზე ეყრდნობოდეს, საკმაო სიმაგრე არ ექნებოდა.

ამიტომ ადამიანი ეკუთვნის ისეთ ცხოველებს, რომელნიც დადიან, ფეხის გულზე დაყრდნობილნი. იმათ, ვისი ტერფიც არ წარმოადგენს თაღს და ამიტომ იძულებულნი არიან მთელი ტერფით შეეხონ ნიადაგს, ფრიად მძიმე ნაბიჯი აქვთ და ჩქარაც ილლებიან.

ტერფის თაღის წინა და უკანა ბოლოსთან და თითების სახსრების ქვეშ მოთავსებულია ქონი, რომელიც რბილ საფენს წარმოადგენს სირბილისა და ხტუნვის დროს ძვლების დასაფარავად.

თავის თავად ცხადია, რომ ფეხსაცმელს უნდა ჰქონდეს ისეთი ფორმა, რომელიც შეეფერება ტერფის ბუნებრივ სახეს.

წვრილ ცხვირიან ფეხსაცმელში თითები ერთი მეორეს ეკვრის, თაღი ბრტყელდება და ფრჩხილი რბილში ეხირება.

მაღალი ქუსლების გამო მთელი სიმძიმე აწვება ტერფის წინა ნაწილს და ძალიან ვიწრო ფეხსაცმელი ჰქმნის კორძებს.

(გაგრძელება იქნება.)

შემწე ართმელაძე და ესალმება ძვირფას სტუმრებს. სიტყვებს ამბობენ აგრეთვე პოლიტგანის თანაშემწე ამხ. თალაკვაძე, მეექვსე, მეხუთე ლეგიონების სამხკომები და სხვა. ყველა მოუწოდებს ამხანაგებს უფრო მეტი დაახლოებისაკენ.

ბოლოს დაიშალა რიგები. სკოლამ საჩუქრად გადასცა ქართულ ნაწილებს დიდი პლაკატი, რომელზედაც წაწერილია საერთაშორისო რევოლიუციისთვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლისკენ მოწოდება.

აერიენ არმიელები და კურსანტები ერთმანეთში. შეჰყავთ ჩვენებს კარვებში და აცნობენ მათ ყოფა-ცხოვრებას.

შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში და საღამოს კი მუსიკით გავაცილეთ ძვირფასი სტუმრები.

ივ. ჯანჯღავა.

გაერთიანებული კრება.

ქართულ მეორე ტერლეგიონში პარტიული მუშაობა სასურველად მიმდინარეობს.

კრებები სისტემატიურად იწვევა, რაც ლეგიონის მუშაობას სწორ გეზს აძლევს.

ამა წლის 15 აგვისტოს შესდგა მორიგი გაერთიანებული პარტ—კრება. დღის წესრიგში შეტანილ იყო შემდეგი საკითხები: 1) თანამედროვე მენშევიზმის ტაქტიკა და ჩვენი ამოცანები, 2) ბიურო -კოლექტივის არჩევა და 3) მიმდინარე კითხვები.

პირველი საკითხის გარშემო მოსმენილ იქმნა ამხ. ადამიას მოხსენება და მეორე ამხ. თანამოხსენება. მოხსენებამ საკმაოდ გააშუქა მენშევიკების „საგმირო" საქმიანობა და ჩვენი ამოცანები.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქმნა სათანადო რეზოლიუცია. ბიურო-კოლექტივში არჩეულ იქნა ხუთი ამხანაგი.

ბოლოს მიმდინარე საკითხებში გაირჩა ცირკულიარები და სხვა და სხვა განცხადებები.

გ. კ—აძე.

კოოპერაცია ბანაკში.

ჩვენს ბანაკში, სადაც დგანან ქართული საარტილერიო დივიზიონები, სხვა ნაციონალური ნაწილებიც არიან: როგორც რუსები და სომხების, ისე ადერბეიჯანის სამხედრო ნაწილები.

ბანაკს არ ახლავს ახლო სოფელი, საიდანაც შეიძლებოდეს სურსათ სანოვაგის მოწოდება.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ქართულ დივიზიის სამხედრო კოოპერატივის გამგეობას არ გამოეჩინა შესაფერი ენერგია და არ გაეხსნა აქ პატარა დუქანი, ძლიერ გაგვიჭირდებოდა ცხოვრება.

დუქანი დიდ დახმარებას აძლევს, როგორც წითელ არმიელებს, ისე მეთაურთა შემადგენლობას.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება „ევკოგრუზის" გამგეობის მუშაობა. მან ბანაკში გახსნა სასადილო. სადილი მზადდება სუფთა და მეტად ხელ მისაწდომ ფასებში.

გარდა ამისა კოოპერაციამ დიდი ენერგია გამოიჩინა ბანაკში გამომცხვარი პურის სისტემატიური მოწოდებით, რასაც ძლიერ დიდი მოთხოვნილება აქვს. საყვედურის ღირსნი არიან უფროსები, რომლებიც საკმაოდ ვერ აწვდიან „ევკოგრუზი"ს პურის გადმოსაზიდავ ფურგუნებს.

დიდი მადლობის ღირსია კოოპერატივის გამგეობა ასეთი ყურადღებისათვის.

ჩამოსული.

კურსანტები პრაქტიკაზე.

12 აგვისტოს დაბა სურამიდან გაემგზავრა ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის საარტილერიო განყოფილების უფროსი კურსის კურსანტები, არტილერისტებთან პრაქტიკულ მუშაობისათვის. კურსანტები დიდი სიხარულით მიემგზავრებოდენ თავიანთ მოვალეობის შესრულებისათვის.

ჩამოსვლისთანავე შეუდგნენ კარვების დადგმას და რამოდენიმე საათის შემდეგ ყველაფერი მოწესრიგებული იყო.

15 აგვისტოს ქართულ არტილერიის ნაწილებში მოხდა კომუჯრედის გაერთიანებული ღია კრება. იყვენ მოწვეულნი ყველა კურსანტები.

პირველად არტილერიის კომისარი მიესალმა ახლათ ჩამოსულ სტუმრებს, რომლის შემდეგაც საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხანაგი მჭედლიშვილი.

კრების შემდეგ კურსანტები ეცნობიან წითელ არმიელების ყოფა-ცხოვრებას. როგორც აღმოჩნდა, ქართულ არტილერიაში სამწყობრო საქმე დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. იმედია, რომ კარვობის დამთავრების შემდეგ ქართული არტილერია საუკეთესოთ გაწვრთნილი დაბრუნდება საზამთრო ბინაზე.

კურსანტი.

საჰაერო ფლოტის უჯრედი.

უნცროს მეთაურთა სკოლაში ახალწვეულების მოსვლამდე დაარსებულ იქნა საჰაერო ფლოტის უჯრედი, რომელშიაც სკოლის მთელი შემადგენლობა ჩაეწერა წევრებად

თითქმის ყველამ შეიძინა უჯრედის საწევრო ნიშნები.

ახალწვეულებს კი უჯრედმა მოხსენების და საუბრის სახით გააცნო, როგორც წარსული მუშაობა, ისე უჯრედის მნიშვნელობა და მისი ამოცანები.

კურსანტები მხურვალე თანაგრძნობას იჩენენ ამ საქმიანობაში, რაც დაამტკიცა საჰაერო ფლოტის დღესასწაულის ჩატარებაში.

მადლობის ღირსია მსროლელ ასეულის მამასახლისი ამხ. კუპატაშვილი, რომელიც ენერგიულ მუშაობას ეწევა ამ საქმის თავის დონეზე დაყენებისათვის.

ვუსურვებ, როგორც ამხანაგს, ისე უჯრედის წევრებს უნაკლოთ შეესრულებიონ თავიანთი მოვალეობა.

ცომაია.

≡მრეწველობა და ტექნიკა≡

ოთხი ათასი ავტომობილები დღეში.

გ. ფორდის ქარხანა.

ამერიკაში ამ ჟამად თითეულ რვა კაცზე მოდის ერთი ავტომობილი. ავტომობილები დიდი ხანია ამერიკაში გადაიქცა ყველასათვის მოსახმარ საგნად. პირველი ადგილი ლითონის დამმუშავებელ მრეწველობაში უკავიათ ავტომობილის ქარხნებს, როგორც თავისი მოწყობილობით, ისე საწარმოო ორგანიზაციით. მაგრამ ამ პირველთა შორის კიდევ პირველი და განსაკუთრებული ადგილი უკავია გენრიხ ფორდის ავტომობილების ქარხანას.

1908 წელში ფორდის ქარხანაში მუშაობდა 1,908 მუშა. 1916—4,110 მუშა. ხოლო ამ ჟამად კი 55,000 მუშა, 1908 წ. ქარხანა უშვებდა წლიურად 6,000 ავტომობილს, 1911 წ.—კი 25,000 ავტ. ხოლო ამ ჟამად 1,500,000 ავტომობილებს ე. ი. 4,000 ყოველდღიურად. ამნაირად თანდათანობით იზრდება არა თუ ქარხნის საერთო ნაყოფიერება, არამედ თითეული მუშისაც. იმ დროს როდესაც 1908 წ. თითეული მუშა ამზადებდა წლიურად 2 ავტომობილს, 1911 წელში უკვე თითეული ექვს ავტომობილს უშვებდა, ხოლო ამ ჟამად თითეული მუშა წლიურად იძლევა 27—28 ავტომობილს, ორ ავტომობილზე მეტს თვეში.

რა საშვალებით მიაღწია ფორდმა მასიური წარმოების ასეთ ინტენსივობას?

თანამედროვე მასიური წარმოების საიდუმლოება იმალება ცოცხალი და უსულო მანქანის ენერგიის რაც შეიძლება უფრო ძლიერად გამოყენების მეთოდში.

ამას კი შემდეგი წესით შეიძლება მიაღწიონ:

1) მანქანები და მუშები დალაგებული არიან მუშაობის დროს ისე, რომ ავტომობილის შემადგენელი ნაწილების ერთმანეთზე გადაცემა ხდება ავტომატიურად და თანდათანობით.

2) ავტომატიურ დაუსრულებელ დიდ ღვედებს მოაქვთ მუშებთან ნედლი მასალა და უკანვე მიაქვს უკვე დამზადებული სახით.

მუშაობა ფორდის ქარხანაში დანაწილებულია მთელ რიგ უბრალო ოპერაციებათ. თითეული მუშა მხოლოდ ერთ უბრალო ოპერაციას ასრულებს ადგილიდან დაუნძრევლად. ის ავტომატიურად გადასცემს ქვევით თავისი მისიის შესრულების შემდეგ. მუშაობის ასეთი ფორმის გამო არა თუ ყოველ უბრალო მოძრაობით და მუშის მისვლა მოსვლით არ იკარგება დრო, არამედ მუშის გონებაც თავისუფლდება ფიქრისაგან, თუ როგორ შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო. ის სრულიად ავტომატიურად ასრულებს ერთ და იგივე სამუშაოს. ამისთვის მას არ სჭირია იმაზე ფიქრი, თუ საიდან უნდა მიიღოს მასალა და ან სად გადასცეს ის. შინაური ტრანსპორტის ორგანიზაცია (ან მასალის გადაზიდვის საქმე) ფორდის ქარხანაში უცნაურობამდეა განვითარებული.

ძველი საქმეები საგამომძიებლო ნაწილში.

ამა წლის აპრილში და მაისში ჩატარდა ჩვენი სამხედრო ტრიბუნალის გამომძიებლების განტვირთვა დაგროვილ საქმეთაგან. ამ გარემოებამ სხვა ზომებთან ერთათ დიდათ გააუმჯობესა და წინ წასწია ჩვენი საგამომძიებლო ნაწილის მუშაობა. ეს განტვირთვა მე არ მიმაჩნია სავსებით დამთავრებულათ და ვფიქრობ, რომ მოგვიხდება მისი დასრულება ამა თუ იმ სახით.

ამ საქმისათვის შემდგარ გამტვირთავ კომისიაში დავას იწვევდა ერთი საკითხი. ეს იყო საკითხი მთელი საქმეების შესახებ, რომლებიც უმოძრაოთ ყოფილიყო თვეების და წლების განმავლობაში სხვა და სხვა დაწესებულებებში და სასამართლოებში და, რომლებსაც უკანასკნელათ ჩვენს საგამომძიებლო ნაწილში მიეღწია. მათ წარმოებას საზოგადოებრივი აზრი და ინტერესი აღარ ქონდა, ხოლო ასეთი საქმეები მათი სიძველის გამო მეტათ ძნელი საწარმოებელია და მხოლოდ ზედმეტ დაბრკოლებებს უქმნიდენ გამომძიებლებს ახალ საქმეთა წარმოებაში. ეს საქმეები განსაკუთრებით 1921 და 22 წლებისაა.

დღეს ეს აზრი დადასტურებულია ავტორიტეტულ პირების მიერ და უფრო თამამათ შეგვიძლია მისით სარგებლობა. რუსეთის სასამართლოს მოღვაწეთა უკანასკნელ ყრილობაზე იუსტიციის კომისარმა კურსკიმ საგამომძიებლო ორგანოებში ძველი საქმეების შესახებ განაცხადა: „ჩვენ დაკვრითი წესით უნდა გადავხედოთ საქმეებს საგამომძიებლო ორგანოებში და მოვსპოთ ისეთები, რომლებიც კვერცხის ფასათ არა ღირს.

არ უნდა დაუშვათ ისეთი მდგომარეობა, რომ კანონის ანბანური მაგალითი, საგამომძიებლო საქმე, გავბეროთ ურას გვერდზე იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს ვსთქვათ, რომ იგი ისპობა." იმავე საკითხზე მომხსენებელმა კრილენკომ, უფრო კატეგორიულათ განაცხადა: „საქმეებს, რომლებიც აღიძრა 22 და 21 წლებში და რომლებიც განხილული არ არის, უნდა შეუწყნარებელი ლიკვიდაცია ვუყოთ".

ჩვენი საგამომძიებლო აპარატის განახლების და გაჯანსაღების საქმეში ეს გამოცდილებით ნაკარნახევი აზრი ავტორიტეტულ პირებისა უნდა მივიღოთ სახელმძღვანელოთ მომავლისათვის, რამდენათაც ჯერ კიდევ ძველი საქმეები დიდ დროსა და ენერგიას ინდომებენ სამხედრო გამომძიებლებისაგან.

რაც მალე განვტვირთავთ მათ და გადავსცემთ არქივს ამ საქმეებს, მით უკეთესია საგამომძიებლო ნაწილისა და სასამართლოს მუშაობის ნაყოფიერებისათვის.

ი. ლორთქიფანიძე.

ახალი ამბები.

— **შაქარი თფილისისათვის.** შაქრის ტრესტი ამ დღეებში მოსკოვიდან მიიღებს 5 ვაგონ შაქარს. შაქარი მცხოვრებთა შორის განაწილდება კოოპერატივის საშვალებით.

— **სკოლები ქუთაისში.** ამ ჟამად ქუთაისის სკოლებში ირიცხება სულ 27,200 მოწაფე და 1400 მასწავლებელი. დღევანდელი რიცხვი რევოლიუციამდე არსებულ სკოლებთან გაიზარდა ერთი ორად.

— **დათვების გამრავლება ბათომის ახლოს.** უკანასკნელ ხანს ბათომის ტყიან ადგილებში გამრავლდენ დათვები, რომელნიც გადმოდიან ღამით მინდვრებში და ნათესებს ძალიან ახდენენ.

— **არხი „მაშველი".** არხი „მაშველი" (ქ. ქუთაისის მაზრა) გაიხსნა 16 ივლისს და დღემდე მორწყო 5.000 დესეტინა მიწა.

— **ახალი წყალზომები.** ქ. აღმასკომმა მოსკოვიდან მიიღო 500 ცალი წყალზომები.

— **თეთრეული მოწაფეებს.** სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოწაფეებს დაურიგა თითო წყვილი თეთრეული.

— **ამხ. სტალინის სახელობის გლეხთა სახლი.** შორაპანში გაიხსნა ამხ. სტალინის სახელობის გლეხთა სახლი.

დაიკარგა ქართულ სამხედრო კოოპერატივს „ევკოგრუზის" გამგეობისაგან გაცემული საწევრო წიგნაკი შალვა სირაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა „ევკოგრუზი"ს გამგეობიდან მიცემული კოოპერატივის საწევრო წიგნაკი ივანე ტიმოთეს-ძე ბახტაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა კომპარტიის კანდიდატობის მოწმობა № 919 გაცემული ერმილე გაბრიელის-ძე წურწუმიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

განცხადება

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სამხედრო ცოდნათა კლუბთან არსებულ

სამხატვრო ინსტიტუტში

მიღება გრძელდება. ინსტიტუტში არსებობს სხვა და სხვა განყოფილებები: **მოზაიკის, გრაფიკის, ხატვის, ქანდაკების და კომპოზიციის.** წითელ არმიელები და პროფკავშირთა წევრები მივლინებით სწავლის ფულს არ იხდიან.

თხოვნები მიიღება ინსტიტუტში საღამოს 6—9-დე.

პლეხანოვის ქუჩა, № 143.

ნ, ო. ს. ც. ტირაჟი 1300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.